**მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სამახსოვრო**
**საინფორმაციო ცნობარი ქედის მუნიციპალიტეტისათვის**

ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

მომზადდა პროექტის ,,ქედის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება" ფარგლებში
პროექტი განხორციელდა ფონდ ,,ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით.

2019

## ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობებს გააჩნიათ უფლებამოსილებანი, რომლებსაც თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის მიერ არჩეული საჯარო ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ დამოუკიდებლად. ამისათვის თვითმმართველობას გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი და ახდენს შესაბამისი სტრუქტურების (მუნიციპალური სამსახურების, შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების ფორმირებას.

საქრთველოს ორგანული კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (მუხლი 16) მოცემულია თვითმმართველობების საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალი:

*ადგილობრივი განვითარება*

- სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების (მ.შ.წყლის, ტყის, მიწის) მართვა.

*განათლება*

- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა.

*სოციალური სფერო*

- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შშმ-თათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის ინფრასტრუქტურის (მ.შ.თავშეყრის ადგილებსა და მუნიციპალურ ტრანსპორტში) ადაპტირება;
- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

*კულტურის სფერო*

- თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა;
- მუნიციპალური ბიბლიოთეკების, კლუბების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების და სპორტული ობიექტების მშენებლობა და ფუნქციონირება;
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

*ინფრასტრუქტურა*

- ადგილობრივი გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
- ავტო-პარკირების და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტში სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე საჯარო ზედამხედველობა;
- მიწისა ან/და შენობა-ნაგებობისთვის სტატუსის მინიჭება, აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენა;
- ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება.

*კომუნალური სფერო*

- ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საჯარო ადგილების დასუფთავება;
- ტერიტორიის გამწვანება;
- გარე განათების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- წყალმომარაგების (მ.შ.ტექნიკური წყლის) და წყალარინების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის მელიორაცია;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველების საკითხების გადაწყვეტა.

*ეკონომიკური საქმიანობა*

- გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
- "საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" კანონით გათვალისწინებული საქმიანობა.

*ზოგადი საზოგადოებრივი საკითხები*

- შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვის საკითხების რეგულირება;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.

გარდა ჩამოთვლილისა, თვითმმართველობას შეუძლია, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი (თუ ეს აკრძალული არ არის კანონით), როგორიცაა:

- დასაქმების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის (მ.შ.კოოპერაციის) მხარდაჭერა;
- ტურიზმის განვითარება;
- ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება;
- გარემოს დაცვა.

ასევე: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, მასობრივი სპორტის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ინვესტიციების მოზიდვის პროგრამები.

თვითმმართველ ერთეულებს, გარდა საკუთარი უფლებამოსილებებისა, შეუძლიათ განახორციელონ ცენტრალური ხელისუფლებისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ კანონით ან ხელშეკრულებებით გადაცემული (დელეგირებული) უფლებამოსილებანი, რისთვისაც ისინი იღებენ შესაბამის ფინანსურ რესურსებს მადელეგირებელი ორგანოებისაგან.

## თვითმმართველობის ბიუჯეტი და მისი ფორმირების წესი

თვითმმართველი ერთეული, საკუთარი უფლებამისილებების განხორციელების მიზნით:

- ამზადებს, განიხილავს, ამტკიცებს (და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლის) ბიუჯეტს, ახორციელებს ბიუჯეტით განსაზღვრულ პროგრამებს, ზედამხედველობს საქმიანობის პროცესს და ახდენს მის შეფასებას;
- მართავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებას;
- შემოიღებს და აუქმებს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ადგენს მათ განაკვეთებს და ახდენს მის ამოღებას.

უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ამზადებს ბიუჯეტს - ფუნქციებისა შესრულების მიზნით გასაწევი შემოსავლებისა და ხარჯების საფინანსო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

ბიუჯეტის მომზადების პირველ ეტალზე მზადდება პრიორიტეტების დოკუმენტი - განვითარების ძირითადი გეგმა, რომელშიც ასახულია ინფორმაცია საშუალოვადიანი განვითარების გეგმების შესახებ.

პრიორიტეტების დოკუმენტის ბაზაზე მზადდება პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგენს არა უბრალო ხარჯთაღრიცხვას, არამედ თითოეული მიმართულებით განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერას, სადაც ნაჩვენებია არა მხოლოდ გასაწევი ხარჯები, არამედ ცალკეული პროგრამების დასაბუთება, მოსალოდნელი შედეგები და მიღწეული შედეგების შეფასების მაჩვენებლები.

ბიუჯეტში ასახულია თვითმმართველი ერთეულის შემოსავლები (შემოსულობები) და ხარჯები (გადასახდელები).

მუნიციპალიტეტის შემოსულობებია:

- საკუთარი შემოსულობები - ადგილობრივი გადასახადები (ქონების გადასახადი); მოსაკრებლები; სხვა არასაგადასახადო შემოსულობები (გრანტები, ქონებიდან, ჯარიმებიდან და ა.შ. მიღებული შემოსავლები);
- არასაკუთარი შემოსულობებია - ტრანსფერები (კაპიტალური, მიზნობრივი, სპეციალური); სხვა არასაგადასახადო შემოსულობები.

მუნიციპალიტეტის გადასახდელები, იყოფა ფუნქციონალური და ორგანიზაციული ნიშნით:

- ფუნქციონალური კლასიფიკაცია ხარჯების აჯგუფებს მიზნების მიხედვით (საერთო დანიშნულების მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ.)
- ორგანიზაციული კლასიფიკაცია ახდენს დაჯგუფებას მხარჯავი დაწესებულების მიხედვით.

თავად საბიუჯეტო პროცესი დროშია გაწერილი და ორ წელზე მეტს მოიცავს - კანონმდებლობის მიხედვით იწყება საბიუჯეტო წლის წინა წლის მარტში და სრულდება მომდევნო წლის მაისში.

საბიუჯეტო წლის წინა წელი:

- 1 მარტი - იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტზე;
- 15 ივნისამდე - ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტებს აცნობებს ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს, რომლის საფუძველზეც იწყება ბიუჯეტის პროექტის მომზადება;
- 5 ოქტომბრამდე - ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტებს აცნობებს მათთვის გათვალისწინებული ტრანსფერის მოცულობას;
- 5 ნოემბრამდე - ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება მუნიციპალიტეტებს აცნობებს ავტონომიის ბიუჯეტის პროექტში მათთვის გათვალისწინებული ტრანსფერის მოცულობას;
- 15 ნოემბრამდე - მერი ბიუჯეტის პროექტს (პრიორიტეტების დოკუმენტთან და სხვა მასალასთან ერთად) განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს და აქვეყნებს საჯარო განხილვისათვის;
- 25 ნოემბრამდე - საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ამტკიცებს მას, ან, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში შენიშვნებით უბრუნებს მერს;
- 10 დეკემბრამდე - ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს მერი წარუდგენს საკრებულოს;
- 31 დეკემბრამდე - საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- საბიუჯეტო წლის 1 აპრილამდე - ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მერი მუშაობს წინა წლის ანალოგიური ბიუჯეტით (ტექნიკური ბიუჯეტი).

საბიუჯეტო წელი:

- მუნიციპალკიტეტი ახორციელებს ბიუჯეტის პრორამებს და კონტროლს უწევს მის შესრულებას;
- საჭიროების შემთხვევაში, მერის წარგდინებით, საკრებულოს შესწორებები შეაქვს ბიუჯეტში.

საბიუჯეტო წლის მომდევნო წელი:

- 1 მარტამდე - მერი საკრებულოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
- 1 მაისამდე - საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

## მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განსაზღვრავს თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს ("ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", კარი IV, თავი XI, მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში):

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მუხლი $85^1$);
- დასახლების საერთო კრება (მუხლები $85^2$, $85^3$, $85^4$, $85^5$);
- პეტიცია (მუხლი 86);
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (მუხლი $86^1$);
- საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა (მუხლი 87);

- მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა (მუხლი 88).

აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის უფლება გააჩნია ყველა მოქალაქეს და მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, შექმნან ამ უფლების რეალიზაციის პირობები.

***ინფორმაციის ხელმისაწვდომობა***. გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მოქალაქეთათვის განსაზღვრული უფლებისა, გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან წინასწარ, მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, მოქალაქეთა მოთხოვნის გარეშე გამოაქვეყნონ მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები ან/და მათი პროექტები:

- საკრებულოს, საკრებულოს კომისიისა და საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმები;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- ბიუჯეტის პროექტი და ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- ქონების პრივატიზების გეგმა და საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა;
- ინფორმაცია დასახლების საერთო კრების შესახებ (დღის წესრიგი, დრო და ადგილი) და კრების ოქმები;
- მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშები;
- პეტიცია;
- მოქალაქეთა მიერ უნდობლობის გამოცხადების ინიციატივა (რეგისტრაციის შემდეგ).

გარდა ამისა მუნიციპალიტეტს შეუძლია გაზარდოს აღნიშნული დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

***დასახლების საერთო კრება***. შეიძლება შიქმნას დასახლებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების (დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები, პეტიციის წარდგენა, საპრივატიზაციო ქონების მართვა და ა.შ.) განხილვის და გადაწყვეტის მიზნით.

- კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. სხვა პირები (დასახლებაში უძრავი ქონების მესაკუთრეები და დასახლებაში მცხოვრები სხვა სრულწლოვანი პირები) მონაწილეოობენ სათათბირო ხმის უფლებით;
- კრებას უფლებამოსილია განხილული საკითხები და გადაწყვეტილებები, რეკომენდაციების სახით წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს;
- კრებას შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, მომდევნო კრების მოწვევამდე აირჩიოს ***საერთო კრების რჩეული*** (ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება აირჩეს არაუმეტეს ხუთჯერ);

კანონმდებ,ლობით ზედმიწევნითაა განსაზღვრული დასახლების საერთო კრების შექმნისა და ფუნქციონირების (საკითხის ინიცირება, გდაწყვეტილების მიღება და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა) წესები.

***პეტიცია***. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს ან/და დასახლების კრებას შეუძლია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს პეტიცია, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს:

- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს;
- ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი პრინციპებს / კონკრეტულ წინადადებების;
- საერთო მნიშვნელობის საკითხების საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნას.

***საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა***. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს საკრებულოს და საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს. სურვილისი შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დასვან შეკითხები, გააკეთონ განცხადება ან/და წარადგინონ ინფორმაცია.

***ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ***. მერი და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც (არაუგვიანეს 1 ნოემბრისა), მოაწყონ საჯარო შეხვედრები ამომრჩევლებთან, წარადგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და უპასუხონ მოქალაქეთა შეკითხვებს.

გარდა ჩამოთვლილისა, მუნიციპალიტეტს აქვს უფლება, განსაზღვროს მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

## მრჩეველთა საბჭოს კომპეტენცია

კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულია მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს არსებობა.

საბჭომ უნდა უზრუნველყოს:

- მერის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობა;
- მოსახლეობასა და მერს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი;
- მერის საქმიანობის ეფექტურობია და გამჭვირვალობა;
- მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მუნიციპალიტეტის მერთან.

***საბჭოს შემადგელობა***

- საბჭოში შედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არანაკლებ 10 წარმომადგენელი (წევრთა ნახევარს, როგორც წესი, შეადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები, ხოლო ნახევარს ორგანიზაციული ნიშნით წარდგენილი პირები);
- საბჭოს წევრობაზე განცხადების მიღების შესახებ მერის შესაბამისი ბრძანებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ჩამონათვალიდან მერი ახდენს თავისი სათათბირო ორგანოს - საბჭოს წევრების შერჩევას;
- საბჭოში ორგანიზაციული ნიშნით წარმოდგენილი წევრის ცვლილების უფლება აქვს მის წარმდგენ ორგანიზაციას. წარმომადგენლის ცვლილება არ იწვევს საბჭოში წევრი ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტას;
- საბჭო იქმნება მერის უფლებამოსილების ვადით.

***მართვა***

- საბჭოს საქმიანობა ხორციელდება მერის ბრძანებით დამტკიცებული საბჭოს დებულების შესაბამისად;
- საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც;
- სხდომების გამართვის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური;
- საბჭო, საკუთარი შემადგენლობიდან, უმრავლესობით, 2 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს;
- საკითხის ინიცირების უფლება აქვს როგორც საბჭოს წევრს, ისე მუნიციპალიტეტის მერს;
- საბჭო მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე, წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.

***საქმიანობის სფერო***

კანონის თანახმად, მერი ვალდებულია მის მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;
- სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები;
- წინადადებები გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;
- მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;
- ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

საბჭოს და მის წევრს შეუძლია:

- არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ წინადადებები და მოსაზრებები წარუდგინოს მერს.
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;
- მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;
- მოიწვიოს და მოუსმინოს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებს;
- მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ მომზადებული ყველა ნორმატიული აქტის და მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვის პროცესში;

- მონაწილეობა მიიღოს მერის ან მერიის სამსახურების გამართულ საჯარო სხდომებში;
- გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

**საბჭო არ წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. მისი მიზანია მერს მიაწოდოს ინფორმაცია და მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით და გაუადვილოს მერიას საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესი.**

**საბჭოს მოსაზრებები სარეკომენდაციო ხასიათისაა. მერს შეუძლია გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს ის.**

## მრჩეველთა საბჭოს საკონტაქტო ინფორმაცია

ქედის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შექმნილია ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 1 ივლისის N 700 700-03-4-201907011015 ბრძანებით.

საბჭოს წევრები:

1. თამაზ გოგიაშვილი - საბჭოს დავმჯდომარე - (საპატიო ქედელი) მობ: 568 88 88 47
2. ნადეჟდა ჯაბნიძე - საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე, მოქალაქე მობ: 591 41 00 97
3. დავით ანანიძე - საბჭოს მდივანი, არასამთავრობო (ა(ა)იპ "ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრი" მობ: 599 27 95 62
4. თამარ ბოლქვაძე - მეწარმე (მეფუტკრე) მობ: 591 98 00 62
5. ვარდო დუმბაძე - მეწარმე (კვების ობიექტის მეპატრონე) მობ: 599 75 48 51
6. ნუგზარ გოგიტიძე - მოქალაქე (ფერმერი) მობ: 558 54 72 56
7. მალხაზ გორგილაძე - მეწარმე (ოჯახის ტიპის სასტუმრო) მობ: 591 98 06 58
8. ჯემალ თურმანიძე - მეწარმე (ოჯახის ტიპის სასტუმრო) მობ: 591 98 08 41
9. ჯუმბერ დევაძე - მეწარმე (საკალმახე მეურნეობა) მობ: 558 71 9039
10. ზაზა ჯინჭარაძე - მშენებელი, ბიზნესმენი მობ: 599 17 77 81
11. ვახტანგ ბერიძე - ინჟინერი (საპატიო ქედელი) მობ: 577 30 27 52
12. სალომე ბერიძე - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი (მშენებლობის სპეციალობით) მობ: 577 14 09 96
13. თინა თებიძე - "ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს" წევრი მობ: 577 27 87 12
14. ვლადიმერ თებიძე - "ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი" მობ: 577 48 10 74